



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 06

2016 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

2016 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის  
პროგრამისა და პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების  
დამტკიცების შესახებ

„საკონფერენციო გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის N149 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტების და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ნინო ბიწაძის 2016 წლის 15 იანვრის სამსახურებრივი ბარათის (N30114) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2016 წლის 15 იანვარს 2016 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსი;
2. დამტკიცდეს 2016 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს 2016 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს 2016 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს 2016 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს 2016 წლის საკონფერენციო საგრანტო კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის ავტობიოგრაფიული მონაცემების (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს თეა მჟავანაძეს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე: [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge).
8. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters, positioned to the right of the name 'მარინე ჩიტაშვილი'.

## 2016 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსის პროგრამა და პირობები

### 1. ზოგადი დებულებები

1. საკონფერენციო გრანტების კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში საერთაშორისო და რეგიონული სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სემინარების (შემდგომში - კონფერენცია) ჩატარებას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას, სამეცნიერო კვლევების განვითარებას, ქართველ მეცნიერთა შრომების პოპულარიზაციას საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში, მსოფლიო პროცესებში მეცნიერთა ინტეგრირებას.
2. კონკურსის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი).
3. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება საგრანტო პროექტები შემდეგი სამეცნიერო მიმართულებებით:
  - ა) ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
  - ბ) ინჟინერია და ტექნოლოგიები;
  - გ) სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები
  - დ) აგრარული მეცნიერებები;
  - ე) სოციალური მეცნიერებები;
  - ვ) ჰუმანიტარული მეცნიერებები.
  - ზ) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები;

### 2. კონკურსის პირობები და მასში მონაწილეობა

1. კონკურსის ფარგლებში დასაფინანსებელი კონფერენციის ჩატარება გათვალისწინებული უნდა იყოს 2016 წლის 10 აპრილიდან 2017 წლის 10 აპრილამდე.
2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლიათ:
  - ა) საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს;